



საპარტიო სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

1978 წ. № 56 (6121) მარტი, სამუშაოთი. ფასი 3 კპპ.


გაზეთი გამოდის 1984 წლის 13 აპრილიდან

ფაქსი სსრკ, ეროვნული «კინოფილმი» პერსონალი, სსპარტოპელოდან, ლიანა ცოტაძე, 12 კვირის საუბათისა, სპორტსმენთა შორის III ადგილი დაიკავა

ოსტამეცხრე ოქრო

აქტიური ძელი ბრძოლა დიდი ხანია არ გააფხვნიდა, — თქვა 20 კილომეტრზე რბოლაში გამარჯვების შემდეგ სპორტის დამსახურებულმა ოსტამეცხრე გ. კულაკოვამ, მით უმეტეს კენჭისყრით ყველა ძლიერ მეტოქეზე ადრე მივდივარ. ასეთ დროს მოწინააღმდეგეთა მარჯვებულების გათვალისწინებით რბოლის გრაფიკის აგებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. აქ ერთადერთი მოკავშირე მხოლოდ მაქსიმალური სისწრაფეა. სპარტაკადით ჩვენთვის სწრაფი არ დამთავრებულა, წინ ჩრდილოეთის ზეიმია. მურმანსკში 30 კილომეტრზე რბოლით შევამდგეა წლის მოსავალი. ჩემი მიზანია იქ 30-ე ოქტრის მედალი მივიპოვო.

138,22, აგრეთვე, გეტრანები ი. და ა. რენიკები — 134,26. ბრინჯაოს პრიზიორებისთვის ეს უკანასკნელი საკუთრივ ასპარეზობა იყო, მეუღლეებმა გადაწყვიტეს მწვერთვებზე დაიწყონ. სპორტულ ცეკვებში ყველას აჯობეს მასპინძლებმა ნ. კარამიშვიმ და რ. სინიციმა — 201,14. მომდევნო სამი ადგილი მოსკოველებმა სპორტსმენებმა დაიკავეს. ვერცხლი ერგოთ ნ. გარანინსა და ი. ზაგოზინს — 197,08, ბრინჯაო — ნ. ბესტემიანოვსა და ა. ბუკინს — 194,34. ერთეულ ვაჭთა შეჯიბრებაში ლენინგრადელმა ი. ბობრინმა იმარჯვა — 189,34. მომდევნო ადგილებზე არიან მოსკოველები გ. კოვალევი — 187,52 და კ. კოკორა — 185,48. ციგურებით ქალთა ასპარეზობის უკანასკნელი სახეობა გახლდათ 3000 მეტრზე რბენა. მოსკოველმა ნ. პეტრუხევამ (4,51,51), ლენინგრადელმა გ. სტეპანსკიამ (4,52,52) და ლ. გვოროვამ (ჩუვართა ასსრ) — 4,52,97 შესაბამისად I, II და III ადგილები დაიკავეს. ჩემპიონობისთვის მებრძოლ პოკეიტა ბოლო შეხვედრაში მოსკოველებმა მოუგეს სვერდლოვსკელებს — 5:4, ხოლო პენზის ოქტის გუნდმა დაამარცხა ლენინგრადელები — 10:3. საბოლოოდ სპარტაკადის ჩემპიონის სახელი მოსკოველმა პოკეიტებმა მოიგეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ პენზის, სვერდლოვსკის ოქტებისა და ლენინგრადის პოკეიტები. სპარტაკადმა დამთავრდა. სპორტო ბუნდურ რამბლაში გამარჯვება მოიპოვა მოსკოვის ნაპრძობა, რომელიც მოსკოვის ნაპრძობის წინააღმდეგ იმარჯვა — 34,53,24, ლაბრევი ი. ვიტოლა II ადგილზეა — 35,18,36, III ადგილი წილად ზვდა ლ. ბოლშაკოვს (მოსკოვის ოქტი) — 35,23,15. ფიგურული სრიალის ოსტატთა შეჯიბრებაში წყვილთა ასპარეზობაზე მსოფლიოს მრავალჯერ ჩემპიონები ი. როდინა და ა. ზაიცივი არ გამოდიოდნენ. ამან მოსკოველებს მ. ჩერკასოვსა და ს. შანინს ოქროს მედალისკენ მწვაწვე გზა გაუხსნა — 146,02 ქულა (ადგილების ჯამი 9). ს. ჟუკის აღსაზრდელებმა წარმოადგინეს რთული ნებისმიერი პროგრამა, რომელშიც ბრწყინვალედ შეასრულეს ბარალეური სამაგი სტომი. მათთან ერთად კვარცხლბეკზე ავიდნენ ახალგაზრდა სვერდლოვსკელები მ. პეტროვა და ს. ლენინოვიჩი —



სურათზე: ლ. ცოტაძე.

მსოფლიოს წყალში მსტომელთა შორის დიდად პოპულარულია მინსკის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი — „გაზაფხულის მერცხლები“. როგორც წესი, ამ შეჯიბრებაში უცხოეთის გუნდები თავიანთი საუკეთესო სპორტსმენებით გამოდიან, საბჭოთა ნაერებს კი უძლიერესობთან ერთად ახალგაზრდებიც გამოჰყავს. წლებადღეა შეჯიბრება 12 ქვეყნის წყალში მსტომელებს მოუყარა თავი. აი, სწორედ ამიტომ იმსახურებს მაღალ შეფასებას თბილისელი გოგონას ლ. ცოტაძის მიერ კომპიდან სტომში მოპოვებული III ადგილი. I ადგილისთვის ბრძოლა, როგორც მსალოდნელი იყო, პენზელ მსოფლიო ჩემპიონს ი. კალინინსა და მოსკოველ ოლიმპიურ ჩემპიონს ე. ვაიცხოვსკაიას შორის გაჩაღდა. გამარჯვა პენზელმა სპორტსმენმა — 575,76. ვაიცხოვსკაიამ 546,805 ქულა მოაგროვა, ცოტაძემ — 522,675. აღსანიშნავია, რომ კალინინს 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სტომშიც არ ჰყავდა ბადალი — 702,72 ქ. II ადგილზე საბჭოთა სპორტსმენი ო. დმიტრევას ხვდა წილად — 698,805. მესამე იყო მ. იაშკე (გერ) — 689,185.

ქაქრაქი

ფინიშის სწორები

ბელგრადში (იუგოსლავია) გრძელდება 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა ტრადიციული, XIV საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაზრინდა-შვილიც მონაწილეობს. გუშინ ბელგრადში ტელეფონით დაუკავშირდით ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტს ბ. პინიშამს, რომელმაც შემდეგი გვიამბო: — ლიდერობისთვის მამაჩემი ბრძოლა არცერთ ტურში არ დამცხრალა. როგორც მსალოდნელი იყო, ნონას მთავარი მეტოქეები არიან უნგრელები ივანკა, ვერტი და პოლონელი ერენსკა. VII ტურში იუგოსლავიელ პიპილიჩს რომ სძლია, მეორე დღეს ნონა მოულოდნელად დამარცხდა დრავაშვილი-გეორგიევსკისთან. მეორე მან მოუგო რუმიგელ ბოგდანს, გუშინ, X ტურში — იუგოსლავიელ პეტროვიჩს და კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს. საუცხოოდ ააწყო თამაში ერენსკამ. ნონასთან წაგების შემდეგ მან იქვე შეხვედრაში 5 ქულა მოაგროვა და მოსაკვებ პოზიციამში გადადო პარტია ივანკასთან. დაუმარცხებლად იბრძოდნენ ვერტი და ივანკა, ამიტომ მათმა შემდეგმა X ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია. ივანკამ ენერგიულად წარ-

მართა პრინციპული პარტია და გაიმარჯვა.

ამრიგად, 10 ტურის შემდეგ გაგრინდაში 7,5 ქულა აქვს, ივანკას — 6 ქულა და 1 გადაღებული პარტია, ვერტის, ერენსკას — 5,5-5,5 ქულა და თითო გადაღებული პარტია (ყველას ცხრილან). დარჩენილ სამ ტურში ლიდერებს საპასუხისმგებლო შეხვედრები აქვთ. ნონა უნდა ეთამაშოს ივანკას, ნიკოლაუსს და შტადლერს, ვერტი — ნიკოლაუსს, შტადლერსა და პარტსტონს. ივანკას ძლიერ მეტოქეთაგან მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონი დარტა, ერენსკას — შტადლერი და პარტსტონი.

მსოფლიო მემორე

პინიში, 20 მარტი (დებუთი). აქ დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრე ქალთა ჩემპიონატი. ჩემპიონის სახელი მოიპოვა მოსკოველმა ოსტატმა ნ. ტიტორევიჩი — 9 ქულა. II ადგილზეა ნ. მელაშვილი — 8, III — ნ. წერეთელი — 6,5.

გულთბილი უმხმდრები

საერთაშორისო დიდოსტატ მ. ჩიბურდანიძის წარმატებამ ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში დიდება შემატა ქართულ ჭადრაკს. ბევრს სურს შეხვედეს გამორჩეულ მოჭადრაკეს. ამიტომ მას წინააღმდეგ იწყებს სხვადასხვა ორგანიზაცია, დაწყებული სკოლა...

ამას წინათ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი და სპეციალური განათლების მინისტრმა აკადემიკოსმა გ. პიბლაძემ. ახალგაზრდა დიდოსტატს გულთბილად შეხვდნენ სამინისტროს მუშაკებიც. ჭადრაკის ნამდვილ ზეიმად იქცა ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში შეხვედრა მ. ჩიბურდანიძესა და ნ. იოსელიანთან. პიონერების და მათ აღმზრდელთა სახელით მთავრად სტუმრებს მიესალმა სასახლის დირექტორი თ. ქლდუაძე. მერე ნორჩმა მუსიკოსებმა, მომღერლებმა, მოცეკვავეებმა კონცერტი გაუშარტეს თავიანთ გამორჩეულ თანატოლებს — მაიასა და ნანა იოსელიანს. გულთბილი მიღება მოუწყეს მ. ჩიბურდანიძეს თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ჰელაგოვებმა და მოსწავლეებმა. შეხვედრაზე ბევრი კარგი სიტყვა ითქვა. ახალგაზრდა დიდოსტატს მიესალმა მწერალი-აკადემიკოსი დეზა შეხვედრა. სურათზე: შეხვედრა ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. მ. ჩიბურდანიძესა (მარცხნივ) და ნ. იოსელიანს შეესალმებთან პიონერთ. ქიქავას ფოტო.

ფარიაკომა

ერთადერთი დაუმარცხებელი

შენბრძობის ქალაქი პეჩში გაიმართა მოფარიაკოვთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „იპონონის“ თასზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გერმანიის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, საფრანგეთის და მასპინძელი ქვეყნის მუშეთერები, აგრეთვე, საკავშირო პროფსაბჭოსა და ლეოვის (პეჩის ძმადნაფიცი ქალაქი) ნაერები კოლექტივები. რაიმისტ ვაჭთა ტურნირში წარმატებით იასპარეზა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ წევრმა, სპორტის ოსტატმა ბ. პაპაშვიმ. მან ბრწყინვალედ ჩაატარა წინასწარი შეხვედრები, შეხვედრა ეფინალში ხუთივე მეტოქე დაამარცხა (მათ შორის ლეოველი სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. სტაქოვიჩი და გერმანიის ეროვნული ნაერების წევრი მ. შიონი) და საბჭოთა სპორტსმენთაგან ერთადერთმა მოიპოვა პირველი ადგილი. ბ. პაპაშვილი.


პალთოკი

ცსკა — სსრ კავშირის ჩემპიონი ვალამდე


მოსკოვში დამთავრდა კალთბურთულ ვაჭთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი. ბოლო მატჩებმა თბილისის დინამოელებმა წააგეს ჯერ მოსკოველ არბიელბთან 99:32, მერე კაუნასის „უალგირისთან“ 84:90. დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: ცსკა — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 123:113, „უალგირისი“ — „სპარტაკი“ 94:100. ამრიგად, მოსკოველმა არბიელბმა ჩემპიონატის დამთავრებამდე ვინალდეს ჩემპიონობა. ისინი ამ საბატიო ტიტულს მეტოქესმეტედ დაეუფლნენ. ჩემპიონატის ბოლო ორი ტური გაიმართება ლენინგრადში (14-16 აპრილი) და ეილინუსში (28 აპრილი — 3 მაისი). მდგომარეობა მოსაშოვის ბურის ზეიმად



სურათზე: შეხვედრა ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. მ. ჩიბურდანიძესა (მარცხნივ) და ნ. იოსელიანს შეესალმებთან პიონერთ. ქიქავას ფოტო.



ენთუჭიანობით



სიცოცხლის ზოღოვანი მართვული

პარბია, როცა ადამიანი ერთ პროფესიას აირჩევს და სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული რჩება. თბილისის „დინამოს“ ყოფილ ფეხბურთელზე, აქ განსვენებულ ვლადიმერ ნიკოლაიშვილზე თამაშად შეიძლება ითქვას მთელი ცხოვრება სპორტს მოახმარაო. მიუხედავად ასაკისა და სამსახურებრივი დატვირთვისა, იგი ყოველთვის პოულობდა დროს ბავშვებთან სამუშაოდ.

სწორედ ვლადიმერ ნიკოლაიშვილს უნდა ვუძღვაროთ თბილისის ორჯონიძის რაიონის მე-11 მიკრორაიონის ნორჩი ფეხბურთელების მიერ „ტყავის ბურთის პრინსის“ ტრადიციულ შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებებს; ისინი სამკურნალო ქალაქის, ხოლო ერთხელ რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ.

ე. ნიკოლაიშვილს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ამ მიკრორაიონის სახლმშენებლოების პედაგოგ-ორგანიზატორთან, ეხმარებოდა მას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზიკულ-სპორტული მუშაობის გაშლას, მაგრამ ყველაზე დიდ ყურადღებას მაინც ნორჩი ფეხბურთელებს უთმობდა.

ვლადიმერ ნიკოლაიშვილის ინიციატივით 1971 წელს საბურთალოს მე-6 კვარტალის სტადიონზე ჩატარდა საინტერესო სპორტული ღონისძიება — ორჯონიძის სახელობის რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების ფეხბურთის გუნდების პირველობა. ამ შეჯიბრება-ზეში სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელები: მ. მესხი, ი. ლათიაშვილი, ი. სარჯველაძე, კ. განიძე, ბ. სიჭინავა, თ. მელაშვილი და სხვ. მატჩებს სწავნიდნენ გამოცდილი არბიტრები: კ. ყრუაშვილი, ი. ქორღანიძე, გ. ბაქანიძე. სტადიონი ვერ იტევდა მაყურებელს. შეჯიბრება, რომელმაც მთელ თვეს გასტანა, არა მარტო ლაბაში სპორტული სანახაობა, არამედ მნიშვნელოვანი აღმზრდელი მუშაობა იყო.

მრავალ სასიკეთო საქმეს ჩაუყარა საფუძველი ე. ნიკოლაიშვილმა, ბევრი ახალგაზრდა აზიარა ფიზიკულ-სპორტულ და სპორტს, ბევრ ქაბულს შეაყვარა ფეხბურთი. ამიტომაც, რომ დიდი თუ პატარა დღეს სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს მის.

ბ. შვანიძე,
№ 2 რესპუბლიკური ექსპერი-
მენტული საშუალო სკოლის
ორგანიზატორი.

მდიდარი სპორტული ტრადიციების მქონე ქალაქია ქუთაისი. ამ ქალაქში გაიზარდა ბევრი სახელოვანი სპორტსმენი — საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიოს თუ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები. აქ გადარდეს პირველი ნაბიჯები საპატრიოტო კვარტალისკენ მიმავალ გზაზე მიხვილ ქორეში და ზურაბ საყვარელიძემ, ომარ ფხაკაძემ და მათა ჩიბურდანიძემ, რევაზ ძიძიასვილმა და ნიკოლოზ დვინაშვილმა...

ვინ იქნება შემდეგი, კიდევ ვინ გაიტანს ასე შორს ქართული სპორტის დიდებას? ამ კითხვამ მოვაცატარა სტუმართმოყვარე ქუთაისის სტადიონები და დარბაზები, სკოლები და საწარმო დაწესებულებები, შეგვახვედრა სპორტსმენებსა და მათს აღმზრდელებს.

თორთაქის სახელოვანი

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა თავის პროდუქციას მსოფლიოს 17 ქვეყანაში გაზავნის. ელექტრომექანიკოსები სპორტთანაც მჭიდროდ არიან და თავისუფალ დროს სტადიონებზე, დარბაზსა თუ საკუროთა აუზში ატარებენ. როდესაც ქარხნის უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტ თორთაქის მოწინავე მუშა სპორტსმენთა დასახელება ვინაა, იგი შეუწყობდა: ჩვენთან ყოველი მეორე ფიზიკულტურელია და რომელი ერთი დაგისახელოთ. თუმცა საუკეთესოთა შორის საუკეთესონი მაინც ვაგვიყენო. მაგალითად, გვიფხარა, რომ შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი მურდავი გივი გურგენიძე კარგი ფეხბურთელიცაა და სასოგადოებრივი მწვრთნელიც. სარატი ზურაბ ყიფიანი სპორტის ოსტატია კლასიკურ კიბობაში, მისი მეგობარი ვახტანგ ლომიძე ხელბურთითაა ვაჭარებული და ქალაქის ნაკრებ გუნდში გამომდის, ბალახის პოკეიში ქუთაისის გუნდის ღირსეულ იცავს ელექტროლაბორანტი თემურ მინდიაშვილი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ოქანა მოლანიოვა ბადმინტონის ოსტატია, თავისუფალ დროს ტურინში უიშობს აკუმულატორის დამზადებელი კირილე სალაძე.

ელექტრომექანიკოსები მომავალი თაობის ფიზიკურ წირობასაც ზრუნავენ. ქარხანაში ჩამოყალიბებულია ბავშვთა სპორტული კლუბი „ისის“, რომელიც სამჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელის სულკოთა თორთაქის სახელს ატარებს. პატარები ოსტატებიან ფრენბურთის, ფარეკობის, ცურვის, ჭადრაკისა და კალათბურთის სექციებში. ამასთან, ისინი ხშირად მოგზაურობენ ქუთაისის ახლო-მასლო სოფლებში, თანატოლებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში ეჯიბრებიან, მასპინძლებს ეხმარებიან ბავშვების მოწვეობილებაც იყო.

კიდევაც დაიწვინება

1966 წელს საიბის საშუალო სკოლაში ფიზიკულტურის მასწავლებელმა თამაზ ლაშხმა ძალისხმობის სექცია ჩამოაყალიბა. აქ აღზრდილია მებეზა, სპორტის ოსტატებმა ელგუჯა და ამირან დვალენმა არაერთხელ ასახელეს თავიანთი მასწავლებელიცა და რაიონიც. ელგუჯა ექვსჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. ამირანი კი ძალისხმობის სიყვარულმა ფიზიკულტურის ინსტიტუტში მიიყვანა.

ახლა სახეების რაიონის ძალისხმობის ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავიათ რესპუბლიკაში. იზრდებიან კარგი, იმედის მომცემი სპორტსმენები.

სახელოვანი სკოლა

სახეების ი. ჭავჭავაძის სახელობის მე-2 საშუალო სკოლა (ფიზიკულტურის მასწავლებლები ა. ზაბახიძე, მებეზა თ. და ა. აბრამიშვილები) ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. აქაური მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ როგორც სასკოლო, ისე სარაიონო-და რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებში. შარშან სკოლა მოსწავლეთა სარაიონო სპორტაკადემიის ჩემპიონი გახდა გუნდურ ჩათვლაში. ახლანდელ დამთავრდა იმედის სტარტებით გათვალისწინებული სარაიონო პირველობა კალათბურთში და ამ სკოლის გოგონათა ნაკრებმა გუნდმა ჩემპიონობა მოიპოვა.

დაუზარალი

ნუგზარ გოგოლაძემ მშდ-ს მრავალწლიანი რესპუბლიკურ ზონალურ პირველობებზე ასახელა რაიონი. იგი ახლაც აქტიურად მონაწილეობს სარაიონო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ნუგზარს ყოველ მეორე დღეს შეხვედრებით

სახეების სტადიონზე — თავდაუზოგავლად ვიწრო სპორტულ კორპუსში. ამ სახელოვანი სპორტული ანად რეპუბლიკის ჩემპიონის სახელს.

სახეების ჩვენი ჩასვლის მიზეზი რაიონის ფიზიკულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს დიმიტრი გომამეს გააცანით და ვთხოვეთ ორიოდ სიტყვით მოეთხრო რაიონის ახალმშენებლობებზე. მან გვითხრა:

— სახეების ძველ სტადიონს მალე გვერდში ამოუდგება ახალი, 10.000 მაყურებლისათვის გათვალისწინებული სტადიონი, რომელიც ფეხბურთელთა გარდა მიიღებს მძლეონებს, ხელბურთელებს, კალათბურთელებს, ფრენბურთელებს, მოჭიდებებს... აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია კარბოდრომი ნორჩ ავიამოვლისტებისათვის. მწყობრში ჩადგა ფეხბურთელთა მოედანი, სადაც უკვე ტარდება რესპუბლიკური ჩემპიონატის მატჩები ადგილობრივი გუნდის „ჩიხურას“ მონაწილეობით. 1978-79 წლების პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს ფიზიკულტურის დარბაზის, ღია საცურაო აუზის, სასროლეთის, კალათბურთის, ჩოგბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნების მოწყობას.

ა. დოლაჯაშვილი.

(ჩვენი სპეც. კორ.)
სახეები.
სურათზე: მიმდინარეობს სოფელ არგვეთის საშუალო სკოლის პირველობა ჭადრაკში; სახეების ი. ჭავჭავაძის სახელობის მე-2 საშუალო სკოლის კალათბურთულ გოგონებს შორის წვრთნის უტარებს ა. ზაბახიძე; ნ. გოგოლაძე სავარჯიშოდ ემზადება.
ავტორის ფოტოები.

ქუთაისი, ჩვენი ქუთაისი

ლას აგობა კლასიკური სტილის მოტივებითაა სავსე პირველობაში და ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ძნელი, ძალიან ძნელი იყო ოქროს მედლისკენ მიმავალი გზა...

ძოლოთ. ქუთაისელი ფალავანი დღეს მთელი დატვირთვით ვარჯიშობს და დიდი ბრძოლებისთვის ემზადება.

„იმიდი“ „თოლია“ „მართვი“...

თავდაუზოგავლად ყველაფერი კარგად აუწყა. ფიზიკურად ძლიერი, სხარტი და სასრინი ჭაბუკი გამოცდილი მწვრთნელის ილია ბობოხიძის ხელში მოხვდა და წარმატებასაც არ დაუყოვნებია. სულ რაღაც ორ წელიწადში ესტატემ საბჭოთა კავშირის პირველობაში ჭაბუკთა შორის მეორე ადგილი დაიკავა. მას შემდეგ ათმა წელიწადმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ესტატემ მრავალ მეტოქეს აგრძობინა თავისი მკლავის ძალა. მრავალჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული, სხვადასხვა რანგის ტურნირებში გამარჯვებულის სახელი. იგი იყო კლასიკური სტილის მოტივებითაა სავსე ნაკრები გუნდის კანდიდატიც, მაგრამ სპორტული კარიერის დასაწყისში მიღებული ტრავმა ხელს უშლიდა უმაღლეს მწვერვალთა დალაშქრებაში.

მუხნარის ტყე, ასე რომ ამშვენებს ქუთაისს, სულ მალე ნორჩი ფეხბურთელების ერთ-ერთ საყვარელ ადგილად იქცევა. ქალაქის განათლების განყოფილებასთან არსებული ფეხბურთის სპორტსკოლის დირექტორმა იუსა ლისაბერიძემ იქ საკმაოდ მოზრდილი მინდორი შეარჩია და საწვრთნელ განაწესა... კარგ ამინდში არ სჯობს სუფთა ჰაერზე, მუხნარით გარშემოტყმულ მინდორზე ვარჯიშს, მაგრამ საკმარისია ერთი წამოწყობის, რომ მინდორი სათამაშოდ უფარგის ხდებოდა და ბავშვებსაც ხეებზე გაკიდებული ტანსაცმელი უსვენებდნენ. ახლანდელ იქ ფიზური ტიპის სახლი ჩადგეს და ამით გასაძლიერეს საკითხიც მოგვარდა, როგორც გვიფხარა, სულ მალე ტყეში რამდენიმე ამგარი სახლი ჩადგებება. ასე რომ, ზაფხულის არდადეგებზე ნორჩი ფეხბურთელები ვარჯიშთან ერთად დაისვენებენ კიდევ... ასეთია სპორტსკოლის, თუ შეიძლება ითქვას, საქართველოს ბავშვის მომავალი. დღეს კი ქალაქის დარბაზში და სტადიონებზე გამოცდილი მწვრთნელები ჯუბერ გალანია, ბუხუტი ჩირაძე, ვახტანგ გრიქოიანიშვილი, მისეილ ლოსაბერიძე და სხვები ფეხბურთით გატაცებულ ასობით ბავშვს ავარჯიშებენ. ნორჩთა გუნდები „იმიდი“, „თოლია“, „მართვი“, „მერცხალი“ ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა ტურნირში და საკმაოდ წარმატებასაც აღწევენ. სასაფხულო არდადეგების დროს დაფეხბურთო სპორტსკოლის აღსაზრდელთა შვიი ზღვის პირას მდებარე სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკ „მართვიში“ ისვენებენ და ვარჯიშობენ.

ესტატე უკვე ხშირად ფიქრობდა დიდი სპორტიდან წასვლაზე. 1975 და 1976 წლებში ქვეყნის პირველობაში დაკავებულმა მეტოქე ადგილებმა თითქმისდა საბოლოოდ გადაუჭურა ყველა იმედი. მაგრამ არ გატყდა ფალავანი, კიდევ ერთხელ ვეღარი, გადაწყვიტა და მთელი მონდომებით შეუდგა წვრთნას, მწვრთნელი, მეგობრები, გულშემატკივრები — ყველანი გვერდში ამოუდგნენ. მართალია, ფეხი ისევ სტაკიოდა, მაგრამ უკანასკნელი ცდის წინ სატიკივარსაც გაყვება სცოდნია. 1977 წელს კლასიკური სტილის მოტივებითაა სავსე პირთ ასპარეზობაში ესტატემ ოქროს მედალი მოიპოვა.

წარმატებით ფრთაშესხეულმა სარბიელიდან წასვლა რამდენიმე წლით გადადო. ახალი მიზანი გაუნდა. გულასდილად გვიფხარა, მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად მინდა ვიბრ-

დაბრუნება...

გასული წელი, ალბათ, ყველაზე ბედნიერი წელიწადი იყო ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტის ესტატე გოგლიჩიძის ცხოვრებაში: ქართულმა ფალავანმა ყვე-

სარბიელზე — ნორჩი ათლეტები

ცხინვალის სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა მოსწავლეთა საოლქო პირველობა ქართულ ჭიდაობაში და ძიულაში.

ქართულ ჭიდაობაში ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად ცხინვალის, ცხინვალის რაიონისა და ზნა-

ურის 34 სპორტსმენი იბრძოდა. წინითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ლ. ლაზარაშვილმა, მ. მამედოვმა, თ. შველბოგმა, ზ. თუავემა, ს. ხუბუაშვილი (ყველა — ცხინვალი), გ. ბერუაშვილმა, მ. ქუტიცაძე, ე. ბასიშვილი (სამივე

— ცხინვალის რაიონი). გუნდურ ჩათვლაში პირველობა მასპინძლებმა დაისაკუთრეს. ძიულით თავი ასახელეს ლენინგორის ნორჩმა მოჭიდებებმა, რომლებიც პირველები იყვნენ რვავე წინაში.

წინითი კატეგორიების მიხედ-

ვით წარმატება ხელათ ს. რიშიშვილს, ა. ვალიევს, ზ. ილურაძეს, თ. სიუკაევს, დ. ოდიშვილს, გ. ქასოევს, გ. ჩაბოშვილს და გ. ნიაურს.

გამარჯვებულ გუნდს წვრთნის სპორტის ოსტატი ს. ჩიგოვეი.

ბ. მელაშვილი.
(ჩვენი კორ.)
ცხინვალი.

